ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

16 ივნისი 2025

N150181

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,აზრი''-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის (შემდგომ - კანონი) 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას“.

რისკების მართვის სისტემაში არსებული და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შპს ,,აზრი'' (ს/ნ - 204452662, მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ჩაჩავას ქ., #8) (შემდგომ - სუბიექტი) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების მიზნებისთვის წარმოადგენს მე-3 კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს. ის ფაქტი, რომ სუბიექტს ევალება კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა დასტურდება შემდეგი კომპანიების მიერ წარდგენილი 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებებითა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან: შპს ,,კავკასუს კრედიტი'' (ს/კ ,,400168643'') , შპს ,,რედინსი“ (ს/კ 400297273).

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით". ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა". სუბიექტის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგება სამსახურისთვის წარდგენილი არ არის კანონით დადგენილ ვადაში.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „...სუბიექტის მიერ ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება. სუბიექტის მიერ ზედიზედ ორ საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ იგი დააჯარიმოს აგრეთვე საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით".

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;
2. სუბიექტს დაევალოს კონსოლიდირებული ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, ერთ დოკუმენტში, ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. სუბიექტს დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში შემდეგ სახაზინო კოდზე - 302003549;
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში გაორმაგებული ფულადი ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება განხორციელდეს სამსახურის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;
5. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური